

**„სანდომი“ სანდო ხარისხი**



**ოზურგეთში პირველი ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ცენტრი შენდება**

**ალიონი.** ოზურგეთში პირველი ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ცენტრი შენდება, სადაც როგორც მსხვილფეხა, ისევე წვრილფეხა საქონლის მიღება და 4000 თავამდე საქონლის ერთდროულად განთავსება იქნება შესაძლებელი.

ლოგისტიკური ცენტრი შეცვლის და მაღალ საფეხურზე აიყვანს მეცხოველეობის განვითარებას, როგორც საქართველოში, ასევე მიუღწეველ აფხაზეთში და ცენტრალურ აზიაში.

ინფრასტრუქტურა საშუალებას აძლევს მომხმარებელს ცოცხალი საქონლის ტრანსპორტირებისთვის კომპლექსური ლოგისტიკური მომსახურება მიიღოს: – საქონლის მიწოდების შესაძლებლობა ავსტრალიიდან, აშშ, კანადიდან, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან – ბათუმის პორტში სპეციალური გემით მიღება, გადმოტვირთვა – ოზურგეთის სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში გად-



აყვანა – ვეტერინარული მომსახურება, სერტიფიცირება, საკუთარი სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება – დანიშნულების ადგილზე ჩაყვანა კავკასიის, შუა აზიის ქვეყნებში ყაზახეთში, უზბეკეთში და

ირანში. საქართველოს გაყვით მსგავსი სატრანზიტო დერეფნისა და ლოგისტიკური ცენტრის შექმნის მიზანია მეცხოველეობის



**ალიონი**

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი ბათუმის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10343) 10 თებერვალი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

**ნასაკირალში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა**



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ე.წ. დვახუს ნასაკირალში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტების შენობა გათვლილია 3 საბავშვო ჯგუფზე და 100 აღსაზრდელზე.

აღჭურვილია ევროპული სტანდარტების ტექნიკითა და სამზარეულოს ინვენტარით.

საბავშვო ბაღის გახსნას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, გუბერნატორის მოადგილე, ქეთევან მოისწრაფევილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, მერის

მოადგილეები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დარჩია, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი - მარინა ჯაფარიძე, ადრეული განყოფილების უფროსი თემურ მოქია, ა.ა.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი მაკა ჭყონია და ცენტრის თანამშრომლები დაესწრნენ.

ამჟამად, საბავშვო ბაღში 35 აღსაზრდელი ირიცხება.

**ბაღაპეტილი ხილი მდინარე ბახვისწყალზე და რა პრემიუმები აქვს გაზეთ „ალიონის“ მიმართ შპს „ვიქტორია სემიურიტის“**

**ალიონი.** გაზეთმა „ალიონმა“ რამდენჯერმე გააშუქა სოფელ მთისპირში ფრანგულ კომპანია „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ და შპს „ასკანგელ ჯგუფს“ შორის არსებული დაპირისპირების თემა. ეს დაპირისპირება იმაში გამოიხატება, რომ „ასკანგელ ჯგუფს“, რომელმაც წიადის ეროვნულ სააგენტოში ბენტონიტური თიხების მოპოვების ლიცენზია აქვს, ფრანგული კომპანია მდინარე ბახვისწყალზე ქართული კომპანიის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებს არ აძლევს ხიდზე გადაადგილების უფლებას. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თავის დროზე, როდესაც აუქციონის წესით გაიყიდა მალაროთა სამმართველო, ბერძნულ კომპანიას „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანს“ მალაროთა სამმართველოს ქარხნებსა და ტექნიკასთან ერთად საკომუნიკაციო ნაგებობებიც გადასცეს.

ბერძნულმა კომპანიამ 20 წლის მანძილზე ის შეძლო, რომ ქართული თიხა ჩამოამორა მსოფლიო ბაზარს და კუნძულ მილოსზე მათ კუთვნილ საბადოებიდან თიხის გაყიდვები 2-ჯერ გაზარდა.

დღეს საოცარი სურათის მოწმენი ვართ: ციხისფერდის კარიერზე მიმავალი გზა ოზ-



ურგეთის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის (საკადასტრო კოდი 26.24.14.116), ხოლო ხაზობრივი ნაგებობა – 61 მეტრი სიგრძისა და 10 მეტრი სიგანის ხიდი – „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ (საკადასტრო კოდი 26.00.366). ხიდზე გადაადგილებას კი დაცვის სამსახური შპს „ვიქტორია სემიურიტის“ აკონტროლებს.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, უცხოური კომპანია ცდილობს, არ მისცეს მუშაობის საშუალება ქართულ კომპანიას და შესაბამისად ციხისუბნის კარიერის მალალი

ხარისხის თიხა კვლავ დაუბრუნდეს მსოფლიო ბაზარს. არას ვამბობთ უმუშევრობაზე და სოფელ მთისპირში მიგრაციული პროცესების გაძლიერებაზე.

გასულ კვირაში გაზეთ „ალიონის“ რედაქტორსა და საინფორმაციო სამსახურის უფროსთან რამდენიმე სატელეფონო ზარი განახორციელა შპს „ვიქტორია სემიურიტის“ პასუხისმგებელმა პირმა ვია ჭანუყვაძემ. იგი „ალიონს“ ინფორმაციის არასწორ გავრცელებაში ადანაშაულებდა, კერძოდ, გაზეთ „ალიონის“ №5-

ში გამოქვეყნებულ წერილში „მთისპირელები „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ მიერ გადაკეტილი ხიდის გახსნას ითხოვენ“. (ეს წერილი 28 იანვარს ვებგვერდზე <http://alioni.ge/?view=article&id=1247> დაილო.)

გასულ ხუთშაბათს იგი გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოვიდა და მათი პრეტენზია გაგვაცნო, თან გვითხრა, რომ საუბარს იწერდა: –თუ თქვენ არ გაასწორებთ, სხვა მედიასაშუალებას მივმართავთ. ის, რომ თქვენი გაზეთი წერს,

გზ-2

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**

რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე

«ალიონი»

# გადაკეტილი ხიდი მდინარე ბახვისწყალზე და რა პრეტენზიები აქვს გაზეთ „ალიონის“ მიმართ შპს „ვიქტორია სემიურითს“



რომ მდინარე ბახვისწყალზე გამავალ ხიდზე, სადაც შპს დაცვის სამსახურის „ვიქტორია სემიურითს“ ჯიხური დგას ოზურგეთის მერის ავტომანქანას სპორტულ ფორმაში დაცვის სამსახურის თანამშრომელი გადაუდგა, არასწორია, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, უფრო სწორად, ის აღმანი ჩემს ჯიხურში იყო იმისთვის, რომ არ მომხდარიყო ჯიხურის დაზიანება და ქონების მოპარვა (მისი თქმით უდგათ ტელევიზორი). მათ მუშაობას შსს მონიტორინგის სამსახური აკონტროლებს და პრესტიჟი შეეღობათ, რადგან მათი კომპანია საქართველოში ევროკავშირის ობიექტებსაც იცავს.

ამასთანავე მან გვითხრა, რომ წინა პერიოდში შპს „ასკანგელ ჯგუფმა“ არასამუშაო დღეს მოახდინა ციხიუნის კარიერზე ტექნიკის გაყვანა, ამის შესახებ 3-ჯერ აცნობეს საპატრულო სამსახურს და მოხდა ხიდის ჩაკეტვა.

გია ჭანუყვაძის თქმით თავის დროზე ცუდი გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფომ. „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ მდინარე ბახვისწყალზე 110 მეტრი სიგრძის კიდე ერთი ხიდი ეკუთვნის, რომლის საშუალებითაც უნდა გადაადგილებულიყო მძიმეწონიანი ავტომანქანები მთისპირი - ოზურგეთის მიმართულებით. ასევე მათვე ეკუთვნის სოფელ დეგაბუში ცენტრალური გზიდან ოზურგეთის მიმართულებით ყოფილ მაღაროთა სამმთველომდე შემოვლითი გზა.

2019 წლის 23 დეკემბერს შპს

„ვიქტორია სემიურითს“ გენერალურ დირექტორ გიორგი გუგუშვილსა და შპს „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ დირექტორ სპარტაკ ლავრელაშვილს შორის მოხდა ადრე დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც 2016 წლის 1 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1.2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ობიექტის“ დაცვას შემსრულებელი განახორციელებს 5 მცველით გრაფიკის შესაბამისად.

2. ყოველთვიური მომსახურების თანხა ნაცვლად 2 000 ლარისა განისაზღვროს თვეში 3 000 ლარით დღე-ს ჩათვლით 2019 წლის 23 დეკემბრიდან.“

მეორე შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ 2020 წლის 23 იანვარს დაიდო, ამჯერად „ობიექტის“ დაცვაზე 3 მცველით შეთანხმდნენ თვეში 2000 ლარის ოდენობით.

საბოლოო ხელშეკრულება კი 2020 წლის 1 თებერვალს გააფორმეს, რომლითაც განსაზღვრულია, რომ შპს „ვიქტორია სემიურითს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში არსებულ ხიდზე საზოგადოებრივი წესრიგი უნდა დაცვას 2 მცველით, რაშიც „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ „ვიქტორია სემიურითს“ თვეში 1000 ლარს გადაუხდის. როგორც გია ჭანუყვაძე ამბობს, ისინი ოფიციალურ მუშაობას 1 თებერვალს შეუდგნენ.

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, თუ

ვინ იყო ის პიროვნება, რომელიც 27 იანვარს, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი იდგა ხიდზე (ფოტო ვაჩვენეთ) გია ჭანუყვაძემ გვიპასუხა, რომ კონკრეტულ პიროვნებას არ იცნობს, რადგან მის სამსახურში 150 კაცი მუშაობს და არაა ვალდებული ყველას იცნობდეს (!). მანვე გვითხრა, რომ მათ აქვთ რეგული, სადაც „ასკანგელ ალიანსის“ და „ასკანგელ ჯგუფის“ მიერ ხიდზე უნებართვოდ გადაადგილებები აქვთ დაფიქსირებული (!).

გია ჭანუყვაძემ ასევე გვითხრა, რომ კამათის დროს ოზურგეთის მერი, მას ჯიხურის მდინარე ბახვისწყალში გადადებით დაემუქრა. ისიც აღნიშნა, რომ ხელმძღვანელი რომ იყოს, ორთავე კომპანიის წარმომადგენელს დაიბრუნდა და გადაწყვეტილებას ქართველი ხალხისა და სოფლის ინტერესების დაცვით მიიღებდა.

27 იანვარს გაზეთი „ალიონი“ სოფელ მთისპირში, სოფლის კრებებაზე იყო, სადაც ამ სოფელში განსახორციელებულ პროექტებზე იმსჯელეს. სწორედ ამ კრებაზე ადგილობრივმა ამირან კვარაცხელიამ განაცხადა, რომ ფრანგულმა კომპანიამ ხიდი გადაკეტა და ქართულ კომპანიას საშუალებას არ აძლევს, ციხისფერდის კარიერზე თიხა მოიპოვოს.

მას სხვებმაც დაუჭირა მხარი და მთისპირელების მოთხოვნა იყო გადაწყდეს ხიდის საკითხი. კრების შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, არქიტექტურის,

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი თემურ გიორგაძე, სოფელ მთისპირის მაჟორიტარ დეპუტატ ვლადიმერ ჩაველიშვილთან და ოზურგეთის მერიის წარმომადგენელ სოფელ მთისპირში მათა ჩაველიშვილთან ერთად მდინარე ბახვისწყალზე ხიდზე არსებულ მდგომარეობას გაეცნო. მერიის პრესსამსახურმა შესაბამისი ფოტოებიც გადაიღო.

2019 წლის 24 დეკემბერს, გაზეთ „ალიონის“ მიერ გადაღებულ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ შპს „ვიქტორია სემიურითს“ პასუხისმგებელი პირი გია ჭანუყვაძე როგორ ესაუბრება ოზურგეთის საპატრულო სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც მთისპირელებმა გამოიძახეს ხიდის გადაკეტვასთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულება არ ჰქონდათ გაფორმებული, როგორ აკონტროლებდნენ ამ დროისათვის ხიდს ?!(ელექტრონული ვერსია იხილეთ <http://alioni.ge/?view=article&id=1241>) .არ ვაპირებთ „ვიქტორია სემიურითს“ კამათს, რადგან ისინი „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ ჩანაფიქრის უბრალო შემსრულებლები არიან, (ისინი ამაში ოფიციალურად იღებენ ანაზღაურებას), რომ თიხის მომპოვებელ ქართულ კომპანიას პრობლემები შეუქმნან და უნიკალურ ქართულ თიხას - მსოფლიო ბაზარი დაუკეტონ.

ფურნალისტებთან ხელეების გადაგრეხის პოლიტიკაც არაა სწორი.



## ოზურგეთში პირველი ცოცხალი საქონლის სატრანსპორტო ცენტრი უნდა



სფეროს განვითარება და სხვა პროექტების განხორციელების შესაძლებლობა. სატრანსპორტო მარშრუტი დაიწყება ბათუმის პორტში სპეციალიზირებული გემის (2 000-დან 20 000 თავაძლე საქონლის ტვიცადობის) მიღებით, სადაც მოხდება ცხოველების ჩამოტვირთვა და ოზურგეთის ლოგისტიკურ ცენტრში გადაყვანა, შემდეგ

კი სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებით საბოლოო დანიშნულების ადგილზე გაგზავნა. პროექტი ითვალისწინებს 100-მდე ადგილობრივის დასაწყებას.

პროექტს ახორციელებს კომპანია „აგრო პრაიმ“, რომლის მთავარი პარტნიორი ქვეყანა არის ყაზახეთი. პროექტის ინვესტიცია არის 10 მილიონ ლარამდე, ლო-

გისტიკური ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით, ელექტრო ღებებითა და მოწყობილობებით.

„პროექტი მოიცავს 10 მილიონ ლარის ინვესტიციას, რომელიც წელიწადში 250 მილიონ ლარის ბრუნვის საშუალებას იძლევა სამომავლო კიდევ უფრო მეტი ზრდის პერსპექტივით. ცენტრი წელიწადში უზრუნველყოფს დაახლოებით 100 ათასი სული საქონლის ტრანსპორტირებას. ასეთივე სივრცე შეიქმნება ყაზახეთის ტერიტორიაზეც, რომ სრული ციკლი იყოს დაცული. ტურისტული ზრდისა და მოთხოვნის ფონზე, საქართველო ვერ უზრუნველყოფს ზორც-პროდუქტებით მომარაგებას, ჩვენი პროექტი დაეხმარება ზორც-პროდუქტების წარმოებას, როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე შვედეთში პროდუქციის ქვეყნის საზღვრებს გარეთ ექსპორტირებას.

უიღვივოს ძნიშნელობა აქვს სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას ამ საქმეში, რომ შეიქმნას ახალი ინფრასტრუქტურები და კონკრეტული პროექტები თითოეულ რაიონში, რათა ხელი შეუწყოს რძისა და ზორც-პროდუქტების წარმოებას.

ზოგადად კი სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მეცხოველეობის განვითარებას მათან რეგონებში, დაბალპროდუქტული საქონლის ჩანაცვლება მაღალპროდუქტული საქონლით. შეიქმნება დამატებითი საშუალო ადგილები, რაც საშუალებას მოცემს ქალაქიდან მშობლიურ მუნიციპალიტეტებში დავაბრუნოთ მოსახლეობა. ჩვენი სამომავლო გეგმა ასევე უკავშირდება მნიშვნელოვან საკითხს ლოგისტიკური ცენტრის ბაზაზე შეიქმნას საგანმანათლებლო - საკონსულტაციო ცენტრი, სადაც ნებისმიერი ფერმერი მიიღებს კონსულტაციას თუ როგორ უნდა შექმნას და მართოს ფერმა, როგორ მოახდინოს პროდუქციის რეალიზაცია, კონსულტაციას კი გაუწევინ პროფესიონალი აესტრალიელი და ქართველი ვეტერინარები“ - განაცხადა საქართველოს მეცხოველეობის ასოციაციის თავმჯდომარე **გორა ჩხაიძე**.

პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ყაზახეთის მეცხოველეობის ასოციაციის თავმჯდომარე **ვასილვან მამიდეკოვი**, საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურიძე-ილი, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარია.

# დვავუ ყველგან დვავუა – ბაღითაც და ბაგოღითაც, თავისი დიდი წარსულითა და არანაკლები პერსპექტივით

## თეზურ მარჯანიშვილი



– საქმის კეთება, როცა ხალხის არჩეული ხარ – მწვინა, რადგან პასუხისმგებლობა დიდი, როცა დანიშნული ხარ – ადვილი, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას კი არასოდეს გავურბივარ და სწორედ ხალხის მხარდაჭერით საქმეც წინ მიიწევა. – ეს სიტყვები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძეს ეკუთვნის, რომელიც 3 თებერვალს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დვავუის მოსახლეობას შეხვდა. როგორც მერმა თქვა, ის მშობლიურ სოფელს, რომლის მავისცემას ყოველთვის გრძნობს, ყურადღებას არ მოაკლებს და ბოლომდე მიიყვანს იმ პროექტებს, რომლებიც სოფელში მიმდინარეობს, ამავე დროს, ახალი პროექტების განხორციელებაზეც იზრუნებს. წყალგაყვანილობის პროექტებისა და კომუნიკაციების გონივრულ ვადებში დამთავრების შემდეგ, არ დარჩება არც ერთი ობიექტი, არც ერთი შიდა გზა მოუწყვრეველი რაშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფელში მოქმედი ასფალტის ქარხანა.

კრებაზე დვავუელების მიერ დაყენებული ყველა საკითხი რომ სრულყოფილად ჩამოთვალათ, ალბათ საგაზეთო ფართი არ აკეთავდება. საკითხების და საკითხებიც დასვეს არც ერთი პირადული არ ყოფილა, ყველა სოფელს ეხებოდა უნდათ დვავუელებს მათი სოფელი დღეს უკეთ გამოიყურებოდეს, ვიდრე გუშინ იყო, სოფლის ზვალინდელ დღეზეც იზრუნონ. აქეთ ამის ამბიცია, რამეთუ გურიაში ამ კოლორიტულ სოფელს ყველა დროში სეფე სიტყვა ეკუთვნოდა.

მერი რამდენიმე პრობლემის მოგვარებას ისე შეპირდა მოსახლეობას, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ ისედაც მწორ თანხას არაფერი მოაკლდებოდა.

მოსახლეობა გახარებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის მერისა და სოფლის ხელმძღვანელობის ინიციატივით, სოფელში მოწყობა სკვერი თავისი თანამედროვე ატრიბუტივით. ასეთ რეპლიკასაც კი მოკვარით ყური: შემოქმედის სკვერზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გთავაზობთ რეზიუმეებს იმ საკითხებისა, რომელმაც სოფლის კრებიდან ჩვენი უბის წინგაკში გადმოინაცვლა:

– **დარეჯან ჯანუტაშვილი, მერი**

**გოგი მაზაძე და სხვები** – მოსაცდლები გზის ორივე მხარეს;

– **ნატო თავაშაშვილი** – წყლის არხის მოწყვრეგება ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე;

– **ქეთევან ჭვიშვილი** – სანიაღვრე არხების გაწყვრენა და კეთილმოწყობა;

– **ეკა სვანიძე** – საბავშვო ბაღის ეზო წვიმიან ამინდში იტბორება, საჭიროა საწვრტის გაკეთება;

– **ვანტანე კალანდაძე** – ჩვენს უბანში, მაღაზიის გვერდით, წვიმის დროს, ნაღი გინდა, რომ გაიარო, არხია გასაკეთებელი და მოსახრეშავია ტერიტორია;

– **გოგიტა საბაშვილი** – ასფალტის ქარხნის მძიმე მანქანებმა გზები დაგვიზინა და შეგვიკეთონ...

– **თამილა შათირიშვილი** – სამკერვალს გახსნა.

დაისვა ასევე საპარიკმახეროს გახსნის საკითხიც.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 32 ათასი ლარი მოხმარდება გარე განათებისა და გზების მოსაფალტების სამუშაოებს.

XXX

დვავუ ყველგან დვავუა – ბაღითაც და ბაგოღითაც, თავისი დიდი წარსულითა და არანაკლები პერსპექტივით. რაც თვალში საცემია, გაღმელები და გამოღმელები ერთგვარად ევბობებიან ერთმანეთს კიდეც. ამ შეგობის რეფერი არ სჭირდება, რადგან ყოველთვის ორი გამარჯვებული ჰყავს, ორივეს ერთნაირად სტკივით და უყვართ თავიანთი სოფელი (გრამატიკული შეცდომა არ გვენოთ, სიტყვა სოფელი განგებ არ ჩავსვით მრავლობით რიცხვში).

გალმა დვავუელებმა სოფლის ერთ-ერთ უბანზე მიღხიდის აგება მოითხოვეს თანაც ისე, დააკონკრეტეს

რკინის მილის დიამეტრიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოტა ხანში გზის ამ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა შეუძლებელი გახდება. მუნიციპალიტეტის მერი გაღმელებს ამ პრობლემის მოგვარებას სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაუხარჯავად შეპირდა.

მოსახლეობამ ასევე დასაბუთებულად წარმოადგინა სასაფლაოს შენობის რეაბილიტაციის საკითხი, თავიანთი შედგენილი ხარჯთაღიცივაც კი მოაყოლეს ამ წინადადებას.

სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს სამი ოჯახი ცხოვრობს და ითხოვენ გარე განათების მოწყობას. მერი ამ პრობლემის მოგვარებასაც ანალოგიური გზით შეპირდა მოსახლეობას.

მადლობა თქვეს დვავუის ნასაკირალში ახალი საბავშვო ბაღის გახსნისათვის, შესაბამისად ითხოვეს ნასაკირალთან დამაკავშირებელი გზის მოწყვრეგება.

სავალალო მდგომარეობაში კულტურის სახლის შენობა. მერმა ამ საკითხზეც თქვა თავისი სიტყვა, ესეც ხსენებული პროგრამის თანხაზე

ხელუხლებლად შეკეთდება.

ყურადღება გაამახვილეს ახალ წყალგაყვანილობაზე. იმედი გამოთქვეს, რომ ეს პროექტი გალმა დვავუსაც მოიცავს.

მოსახლეობის აზრი ისევე არაერთგვაროვანია სოფელში მოქმედი ასფალტის ქარხნის არსებობაზე. მერმა ისაუბრა თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ქარხანას სოფლისთვის, ისიც თქვა თუ რა გაკეთდა ამ ქარხნის დახმარებით. აღნიშნა, რომ მერიასა და ასფალტის ქარხანას შორის დადებული ხელშეკრულების ბოლომდე დამცველი იქნება და ამასვე მოითხოვეს მეორე მხარისგან. ამ ხელშეკრულებით კი სოფლისთვის მრავალი სასარგებლო საკითხის გადაწყვეტა შეიძლება.

გადაწყდა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გალმა დვავუისთვის გამოყოფილი თანხა 32 ათასი ლარი მოხმარდეს განათებისა და მოსაცდლების მოწყობას, საბავშვო ბაღის ინვენტარითა და ატრაქციონების აღჭურვა, მიღხიდების მოწყობას და გზის მოხრეშვას.



## უმხვედრები ბურიანთისა და მერიის თეზუ



4 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გურიანთის, ციხისფერდის, მერიის, ნაღობილევისა და ხვარბეთის მოსახლეობას შეხვდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივებმა 2020 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები შეარჩიეს.

მერიამ დაიგემა შიდა გზების მოწყვრეგება, მოსაცდელისა და გარე განათების მოწყობა, ასევე, საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონის დამონტაჟება, ჭახვათას მცხოვრებლებმა კი

მოსაცდელის მოწყობა და წყლის სისტემის მოწყვრეგება დაგეგმეს.

ნაღობილევი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და შიდა გზების მოწყვრეგება გადაწყდა.

ხვარბეთის მოსახლეობამ კი უპირატესობა გარე განათებისა და მოსაცდელის მოწყობას მიანიჭა.

რაც შეეხება გურიანთისა და ციხისფერდის, ადგილობრივებმა პრიორიტეტებად შეარჩიეს სკვერის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღის რემონტი, შიდა გზების მოწყვრეგება და გარე განათების მოწყობა.

## კრებები ცხემლისხიდისა და პაკიჯვრის თეზუ

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებენ.

6 თებერვალს, 2020 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები ცხემლისხიდი-უჩხუის, ასევე, ვაკეჯვრისა და ფამუ-ალეთის მოსახლეობამ შეარჩია.

ცხემლისხიდი-უჩხუში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა გადაწყდა, ბაღდაღში კი ბახვის საზღვართან ხიდის რეაბილიტაცია, ასევე, გარე განათებისა და ცენტრის კეთილმოწყობა.

რაც შეეხება ვაკეჯვარსა და ფამუ-ალეთს, ადგილობრივებმა ცენტრისა და მოსაცდლების კეთილმოწყობა გადაწყვიტეს.



## უმხვედრა თხინვალსა და კონჭკათუ



ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრებს აგრძელებენ. აღნიშნული პროგრამა სოფლების მოსახლეობის ჩართულობით ხორციელდება, რაც პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევას ითვალისწინებს. ამჯერად, ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თითიაძე კონჭკათისა და თხინვალის მოსახლეობას შეხვდა. სოფელ თხინვალში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ასევე საბავშვო ატრაქციონების შეტანა და გარე განათების მოწყობა გადაწყდა. კონჭკათში კი ადგილობრივები ხიდისა და გარე განათების მოწყობაზე შეთანხმდნენ.

# საკრებულოს მორიგ სხდომაზე

5 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა.

მას შემდეგ, რაც „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარეული შენობის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი, მერის მიმართვის საფუძველზე დღის წესრიგიდან ამოიღეს, საკრებულოს წევრებმა 5 საკითხზე მიიღეს გადაწყვეტილება.

დამტკიცდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“, რომელზედაც საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა.

მსჯელობა გაიმართა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე. საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძების (კონსტრუქციის ნაწილის/წერტილის) სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 10 წლის ვადით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გაყვანის მიზნით, შ.პ.ს. „ეარნეტი“-სათვის გადაცემას ეხება. საკრებულოს წევრების დისკუსია საიჯარო ქირის ოდენობას შეეხო. გამოითქვა მოსაზრებები, იჯარის ქირის სიმცირეზე.

კამათში დეპუტატები **გელა არომიძე, შოთა გოგიბერიძე, ლევან მგელაძე, დავით მჭავანაძე** მონაწილეობდნენ.

დეპუტატმა ვასილ ჩიგოგიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ შპს „ეარნეტი“ გადასახადის ტარიფი გადიხდება, მომავალშიც უნდა გადაიხედოს „მაგთისა“ და „სილქეტი-ჯეოსელისთვის“.

საბოლოოდ საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იჯარის ქირა და ვადა დარჩეს უცვლელად, თუმცა ხელშეკრულებაში ჩაიწეროს პირობა, 2 წლის პერიოდში ტარიფის აუცილებლად გადახედვის თაობაზე.

საკრებულოსვე გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების მისაღებად;

დამტკიცდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამუშაო გეგმა.

საკრებულომ მხარი დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი-ქორფის“-ს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებას. ხელშეკრულება,



საერთაშორისო ორგანიზაცია "მერსი ქორფისი"-სგან გრანტის მიღებას ეხება, რომლის მეშვეობითაც მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახის ინვენტარით აღჭურვა იგეგმება.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა **მაია ზოიძემ** დასვა კითხვა, თუ რატომ ეთქვა უარი მოქალაქეებს სამედიცინო დახმარების თანხის ჩარიცხვაზე იმ ფარმაცევტულ დაწესებულებებში, რომლებიც ინდემწარმეთ არიან დარეგისტრირებული.

დეპუტატმა **ლალი სიჭინავამ** განაცხადა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილების მიხედვით ბენეფიციარებს სურვილის მიხედვით შეეძლოთ აერჩიათ აფთიაქი, სადაც ისინი საჭირო მედიკამენტებს მიიღებენ. ფაქტიურად ეს საკრებულოს გადაწყვეტილების უგულვებელყოფაა. აღნიშნულ საკითხს საკრებულოს შესაბამისი კომისია განიხილავს.

## გურიაში თვითმმართველობის წარმომადგენლებთან უხკვედრა გაიმართა



4 თებერვალს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, გურიაში თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა ჩოხატაურის კულტურის სახლში გაიმართა.

შეხვედრა გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბნასარაიამ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ გიორგი ჯიბლაძემ და რეგიონთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლამა შალამბერიძემ გახსნეს.

„სახელმწიფო არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, რომ-

ლის შედეგად აგრარულ სექტორში გაზრდილია წარმოება და რეალიზაცია. სახელმწიფო პროექტებზე წვდომის გაზრდისთვის, აუცილებელია მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენს მეწარმეებსა და ფერმერებს“, – განაცხადა გიორგი ჯიბლაძემ.

ზურაბ ნასარაიამ რეგიონში, სახელმწიფოს მიერ ფერმერების მხარდაჭერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და ამ მიმართულებით სამომავლოდ ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრა.

შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროე-

ქტების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს. გაიმართა დისკუსიაც, სადაც იმსჯელებს იმ გამოწვევების შესახებ, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობასთან დაკავშირებით არსებობს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრები გაიმართება. შეხვედრებს ორგანიზებას სამინისტროს უწყება – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო უწყვეს.

## „კავკაზ ჯორჯია“ კარიერული წარმოების შეჩერებას არ აპირებს

### ლიხაურელები ხეობის დასაცავად ბოლომდე ბრძოლას აპირებენ

მარი კობოვი



დაახლოებით 10 დღის წინ, ლიხაურში, მდინარე აჭისწყლის ხეობაში, მდინარე აჭისწყლისა და მდინარე ავიდაყვას შესართავთან შპს „კავკაზ ჯორჯიამ“ ქვა დორღის მოპოვება დაიწყო. ლიხაურელები კარიერის ამოქმედების

კატეგორიული წინააღმდეგობა არიან. საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირეს გუშინ, სოფელ ლიხაურის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრას საკუთარი ინიციატივით ესწრებოდა „კავკაზ ჯორჯიას“ წარმომად-

გენელი **გია ღუმბაძე**. ღუმბაძე ადგილობრივებთან ურთიერთობის „დათობას“ შეეცადა.

„ლიცენზია ორი წლის წინ მივიღე. 105 000 კუბური მეტრი ინერტული მასალის ამოღების უფლება მაქვს. შევეცდები კანონის ფარგლებს არ გავცდე, ვიმოქმედებ ისე, რომ მდინარის არხი არ დავაზიანო.“ – უთხრა მან ლიხაურელებს – თქვენი სოფლის გვერდში დავვებო-ხაზგასმით აღნიშნა მან.

– მე რომ ერთი ტრაქტორი ხრეში დამჭირდეს და ავიღო დამიჭერენ. თქვენ მუშაობას ვინმე აკონტროლებს? – ჰკითხა მას ადგილობრივმა **ჯანიკო გორდელაძემ**.

„წაიღის ეროვნული სააგენტო მხოლოდ ლიცენზიებს გაცემს. შემდეგ აღარ იწუხებს თავს გააკონტროლოს ვინ და როგორ იღებს ინერტულ მასალას, საერთოდ არ აინტერესებთ რომ ჭები დაგვიშრა, გზები გაფუჭდა,

მდინარის დონემ იკლო. თებერვლის თვეში კოჭებაძე წყალია მდინარეში ასეთი მე ჯერ არ მახსოვს. ახლა შენდება ავტობანი, სუფსიდან და ნატანებიდან ნატანი უკვე ამოღებულია. რა დარჩა? მდინარე აჭისწყალი. დაიწყეს კიდევ მუშაობა რამდენიმე დღის წინ. მაგრამ ჩვენი თხოვნით ნახევარი დღის მუშაობის შემდეგ გაჩერდნენ. – ამბობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, თავადაც ლიხაურელი, **ირმა გორდელაძე**.

როგორც მოსალოდნელი იყო კომპანიის წარმომადგენელი და ლიხაურელები ვერაფერზე შეთანხმდნენ.

„მე თქვენთან მოლაპარაკება ვცადე, სხვა არაფერი შემძლია მუშაობა უნდა გავაგრძელო“ უთხრა ბოლოს დგილობრივებს ღუმბაძემ და ცოტა არ იყოს გაბრაზებულმა დატოვა იქაურობა.

## სოფელ ღვაბაზურში ნაკირღამცაში სამუშაოები მიმდინარეობს



ღვაბაზურს ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ნატანზე არსებული საფენსალო ხიდის მიმდებარე, ნაპირდამცავი სამუშაოები მიმდინარეობს.

გაბონის მოწყობის პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე გაეცნო.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შპს „მშენებელი“ აწარმოებს, რომელიც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონიდან დაფინანსდა.

# „იკითხე ხამაღლა, შეცვალე მსოფლიო“



**ალიონი.** 5 თებერვალს, საქართველოში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა სლოგანით: „იკითხე ხამაღლა, შეცვალე მსოფლიო“. გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი აქტიურად შეუერთდა წიგნის კითხვის მსოფლიო დღეს და უმასპინძლა წმინდა გებრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო და მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებს. მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებსა და ბავშვებს შორის გაიმართა ლა საუბარი წიგნის მნიშვნელობაზე იყო ძალიან თბილი გარემო წიგნის კითხვისთვის, მოსწავლეები ერთმანეთს ეხატებოდნენ, კითხულობდნენ თავიანთ საყვარელ წიგნებს და ავტორებს წარადგენდნენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, მსჯელობდნენ. ერთმანეთი-

სთვის წიგნის ხამაღლა კითხვის სიხარულის გაზიარება და წიგნის კითხვის პოპულარიზაცია იყო ამ დღის მთავარი მიზანი. მუზეუმ-ნაკრძალი მომავალშიც გეგმავს მსგავს ღონისძიებებს მიიღოს მონაწილეობა და კიდევ უფრო მეტი ადამიანი ჩართოს წიგნის საჯაროდ კითხვის მართვაში. წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს დღე ასევე გაიმართა ლანჩუთში-გნატე ნინოშვილის სახელობის სასლ-მუზეუმში და ჩონატაურში –ნოდარ ლუმაბის სასლ-მუზეუმში. წიგნის საჯაროდ კითხვის კვირული გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და მუნიციპალიტეტების ორგანიზებით გაიმართა.

# ოზურგეთში 36 წლის ახალგაზრდა სოფელში დაბრუნდა და მუშაობის შემხანს გეგმავს

ბაჩო ლესელიძე ის ნიჭიერი და მშრომელი ახალგაზრდაა, რომელიც მამაპაპისეულ სახლს დაუბრუნდა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვარბეთში, დაახლოებით 1 კმ მიწის ნაკვეთზე, ვაზის სანერგე მუშაობის გაკეთებას გეგმავს, ასევე, ღვინის მარნის და 4-5 გურიული ოდის გაათავსება აქვს გადაწყვეტილი. ბაჩო სოფელ ხვარბეთში მონახულეს პრემიერ მინისტრის მრჩეველმა რეგონულ საკითხებში, სოზარ სუბარმა და გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ. „ჩემს ოჯახს

მეღვინეობის მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. გვაქვს მარანი კიკეთში, ვენახები მუკუნანში და ვაჩნაძინში. 2019 წელს გააკეთეთ კიდევ ერთი მარანი კახეთში და ვერჯერობით, დაახლოებით 40-45 ტონამდე ღვინის წარმოება ხდება. როდესაც ჩემს სოფელში ჩამოვედი და დამხვდა ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული, დაიგო გზა, მოხდა სოფლის გაზიფიცირება და სხვა... მაშინვე გადაწყვეტიე, მუშაობა გააკეთო. საწყის ეტაპზე ვითხოვ ფინანსურ რესურსებთან წვდომას და ფონდების მოძიებაში დახმარებას, რამაც



კონსულტაცია გურიის რწმუნებულის ადმინისტრაციამ გამოწვია“ - აღნიშნა ბაჩო ლესელიძემ.

# სიასლე – შრომის ბირჟა ოზურგეთში

**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში დაიწყო ფუნქციონირება შრომის ბირჟა რეინგვის სადგურში 1-ლ სართულზე. შრომის ბირჟის გახსნა განაპირობა იმან, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილი, რომლებსაც შესასრულებელი აქვს სხვადასხვა სამუშაოები, ეძებენ ხელსაშეს. აქედან გამომდინარე, შრომის ბირჟის ფუნქცია არის ორგანიზაციაში გააწვევრანოს სხვადასხვა პროფესიის ხელოსნები და მიწის სამუშაოების შესრულებლები. როგორც შრომის ბირჟის თავკაცმა **ნუგზარ რუსაძემ** გვითხრა, ორგანიზაციაში გაწვევრანებული არიან ღირებულებები, მშენებლები, თუნუქის საცეცხლე-

ისტი, სანტექნიკოსი, მღებავი, პანინოს ამწვობი (კაპელმანისტერი), მიწის ნაკვეთების შემსყიდველები. მსურველებს შეეძლება შესაქმნად შეეთავაზოთ. მუორედი კომპიუტერები, გვეყავს ლამინატის დამგები, მეტალო-პლატმასის კარ-ფანჯრების დამამზადებელი, ბინების დამლაგებელ-დამსუფთავებელი, ზამთარში სახლების დამთოლაგები, ელემფულელები. ჩვენს სერვისში შედის ასევე ტაქსითა და ავტობუსით მომსახურება – საქალაქთაშორისო რეისები. მსურველს შეუძლია დაგვიკავშირდეს ტელეფონით: 599 58 75 32; 557 77 21 21.



# ახალი დეტალები გურულ მოჯირითეთა ისტორიიდან

## შეხვედა 16 წლის შეხვედა



იმისათვის, რომ თანამკვლევრობაზე დამთანხმდით...“  
...დღეს, 13 აპრილს,წერილი გაეუგზავნე ბატონ კარლო გუჯაბიძეს, მას ვთხოვ ნებართვას, რათა თქვენ ჩაატაროთ კვლევა ოზურგეთსა და ჩონატაურის მუზეუმებში“...  
...ალექსანდრე მურვანიძე! - მე პირველად აღმოვაჩინე მისი სახელი,ვიცი რომ პლატონ მურვანიძე და ხალამპრე მურვანიძე ამერიკაში ჩამოვიდნენ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი,რომელ წლებში ...რამდენიმე დღეში გამოვიგზავნი სრულ სიას. რიჩარდი, 13 აპრილი,2001 წელი“.  
ჩემთვის დიდი პატივი იყო მის მიერ ჩემთვის დაწერილი ადრესი ბუზუუმში ჩემი მოღვაწეობის 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით აი ისიც:  
ძვირფასო მანანა ლომაძე გილოცავთ ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში 40 წლის მუშაობის იუბილეს.1976 წელს ენვერ გოგუაძის დირექტორობის პერიოდში თქვენ დაიწვეთ კარიერა მეცნიერ მუშაკის პოზიციით. თქვენ მოიპოვეთ უფროსი მეცნიერ მუშაკის წოდება და თქვენი პიონერული ძალისხმევითა და ინიციატივით, შესძელით მუზეუმისათვის შეგვეროვნებინათ ძვირფასი ექსონატები.მათ შორის არქეოლოგიური თქვენმა ნიჭმა საშუალება მოგვცათ გამხდარიყავით ხელმძღვანელი და დაგეგმავებინათ ამჟამინდელი პოზიცია-საგანმურის მცველი. გულწრფელად მჯერა გურიისა და ოზურგეთის მოსახლეობას თქვენი სახით ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ნამდვილი საგანმურის ჰყავთ.  
როდესაც ვიხსენებ 1976 წელს,იმ დროისათვის მე ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტში, ავიამზიდ

„აშშ ეიზენჰაუერში“ იმ პერიოდში წარმოადგენა არ მქონდა გურიაზე, ქართველ ცხენოსნებზე და ველური დასავლეთის შოუებზე.ამ დროს კი თქვენ უკვე იცოდით იმ გურულების შესახებ, რომლებიც გაემგზავრენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა მეტი ინფორმაცია არ გავაჩნდათ. ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობით, ახლა ვფლობთ დეტალურ ინფორმაციას იმ გურულებზე და ქართველ მოჯირითეებზე. უფრო მეტად მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცემა და მადლობა გადავიხადოთ თქვენი დაუღალავი შრომისათვის გურული დოკუმენტაციის შეგროვებისათვის „რამაც ხელი შემიწყო წიგნის წერაში სახელწოდებით: „გურული და ქართველი მოჯირითეები ამერიკის ველურ დასავლურ შოუში“. თქვენი მზრუნველობისა და თანამშრომლობის გარეშე ეს ფაქტები ვერასოდეს გამოაშკარავდებოდა.  
პატივისცემით  
**რიჩარდ ალექსის ჯორჯიანი**  
ავტორი წიგნებისა „გურულ მოჯირითეთა ქრონიკები“  
„კახაკები, ინდიელები და ბუფალო ბილი“.  
16 წელი იკვლევდა ბატონი რიჩარდი ქართველ მოჯირეთა ისტორიას და შეძლო მამისა და საკუთარი სურვილის შესრულებაც გამოცვა წიგნი, რომელიც ინგლისურ ენაზე დაწერილი და გამოთქვა იმედი, რომ იგი მალე ქართულად ითარგმნება.  
საინტერესო იყო მის მიერ შედგენილი, ჩვენთვის ჩამოტანილი დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომლითაც პირისპირ შეხვედით გურულ მოჯირითე მამაკაცებსა და ქალებს.  
ინგლისურიდან ქართულად გვაწვდიდა ინფორმაციას ქალბა-

ტონი თამარ ლლონტი.  
იყო შეკითხვები,დამაჯერებელი ,საინტერესო საუბრები.  
მუზეუმის დირექტორმა გოგა ტრაპაიძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა ბატონ რიჩარდს გაწეული მუშაობისათვის, სტუმრობისათვის, ფილმის ჩვენებისა და წიგნისათვის.  
ბატონმა რიჩარდმა წიგნები საჩუქრად გადასცა: ვია სალუქვაძეს, მერაბ ჭანუყვაძეს,ბეგლარ სიორიძეს, გოგა ტრაპაიძეს ,თამარ ლლონტს, მანანა ლომაძეს.  
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2016 წლის 20 მაისს დღის 3 საათზე ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში შედგა რიჩარდ ჯორჯიანის წიგნის „ქართველ მოჯირითეთა ქრონიკები“ პრეზენტაცია. სიმართლე, რომ ვითქვამდები მყვდება, რომ წიგნზე „ქართველების“ ნაცვლად არ აწერია „გურულ მოჯირეთათა“...  
ამის შესახებ ჩვენ ადრე ვისაუბრეთ: ბატონმა რიჩარდმა მაშინ თქვა, გურულებიც ხომ ქართველები არიანო (მისი ბაბუა ალექსი გოგოხია ხომ მეგრელი იყო).  
ამ წიგნის( ქართულ თარგმანსაც ვიხილავთ,თუ გამოჩნდება დაინტერესებული პირი). გამოცემამ სიხარულით ამაგსო. დღემდე არსებული ლიტერატურა სრულყოფილად ვერ ასახავდა გურულ მოჯირითეთა საზღ-ვარგარეთ მოღვაწეობის საკითხს, წიგნი გაჯერებულია ფაქტებით, საარქივო მასალებით, ფოტოსურათებით.  
წიგნი შინარსიანად გვიხსნის „რატომ ეძახდნენ გურულ მოჯირითეებს „რუს კახაკებს“. ეს წიგნი, ხომ ისტორიული ლაბირინთებიდან ამოკრებილი სიმართლეა. ამ წიგნით არა მარტო ამერიკამ „არამედ მსოფლიომ გაიგო სიმართლე გურული მოჯირითეების შესახებ.


ეს წიგნი ყველას ყურადღებას დაიმსახურებს-მით უფრო მკლევართა. უფრო გაამდიდრებს გურიის მრავალფეროვან ისტორიას.  
ვიცი,რომ გურული მოჯირითეები ძირითადად სოფლებიდან იყვნენ ამიტომ, გადავწყვიტეთ სტუმრობისთვის გურიის ერთ-ერთი სოფელი გაგვეცნო. არჩევანი ჩვენს ფილიალზე-დვებზუს შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმზე შევჩერეთ.  
ფილიალის გამგე მასპინძლობაში დაოსტატებული ნინო ჯაველიძე სტუმრებს ჩვეული სითბოთი შეეგება. გულის საამებლად გაისმა ცხემლისხილის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული სიმღერა:“მასპინძელსა მზიარულსა“...  
ქალბატონმა ნინომ სტუმრებს გაცნო გურულების ტრადიციები, აუხსნა ვრცელი ,ხეხილიანიბაღნარი ეზოს,სამზადი სახლის, მარნის-„ჭურის“ მნიშვნელობა-მოვალეობა“.. სამზადში მოგუზგუზე შუა ცეცხლმა ამერიკელები გააკვირვა, ბევრისმთქმელად მიიღეს პასუხი, რომ ეს შუაეცხელი არასდროს ქრებოდა, რომ დიასახლისი დღეში საჭმელს ოთხჯერ ამზადებდა.  
გაიშალა გურული კერძებით სავეს მაგია .ითქვა სადღევრძეოები. მუზეუმის ეზოსავით ლამაზი იყო ეს დღე!  
კმაყოფილი სტუმარ -მასპინძლების დამშვიდობება სულიერად ამაღლებული იყო.  
ასე დაბრუნდა გურიაში ბატონი რიჩარდი. ჩამობრძანდა წიგნით და წაბრძანდა შთაბეჭდილებებით დატვირთული.  
**მანანა ლომაძე,**  
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

ქალბატონმა ნინომ სტუმრებს გაცნო გურულების ტრადიციები, აუხსნა ვრცელი ,ხეხილიანიბაღნარი ეზოს,სამზადი სახლის, მარნის-„ჭურის“ მნიშვნელობა-მოვალეობა“.. სამზადში მოგუზგუზე შუა ცეცხლმა ამერიკელები გააკვირვა, ბევრისმთქმელად მიიღეს პასუხი, რომ ეს შუაეცხელი არასდროს ქრებოდა, რომ დიასახლისი დღეში საჭმელს ოთხჯერ ამზადებდა.  
გაიშალა გურული კერძებით სავეს მაგია .ითქვა სადღევრძეოები. მუზეუმის ეზოსავით ლამაზი იყო ეს დღე!  
კმაყოფილი სტუმარ -მასპინძლების დამშვიდობება სულიერად ამაღლებული იყო.  
ასე დაბრუნდა გურიაში ბატონი რიჩარდი. ჩამობრძანდა წიგნით და წაბრძანდა შთაბეჭდილებებით დატვირთული.  
**მანანა ლომაძე,**  
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი



# XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რევოლუციები

## იამბლა მსკლუზი უფლებით



1866 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული დებულებით, რომელიც 1864 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსების ამოქმედებას ეხებოდა, თბილისის, ქუთაისის, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში უნდა შექმნილიყო: **მომრიგებელი სასამართლო, საოლქო (საგუბერნიო) სასამართლო და სასამართლო პალატა**. სასამართლო პალატა მთელს ამიერკავკასიაში (სამხრეთ კავკასიაში) იქნებოდა ერთი და იგი უნდა დაარსებულიყო თბილისში. საოლქო სასამართლოები გუბერნიის ცენტრებში შეიქმნებოდა. ამიერკავკასიისათვის მომრიგებელი სასამართლო პირველი ინსტანციის სტატუსით სარგებლობდა, საოლქო სასამართლო — მეორე ინსტანციის, ხოლო **თბილისის სასამართლო პალატა** მესამე ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენდა.

ახალ სასამართლო დაწესებულებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი: სასამართლო წარმოებაში არსებული საქმეების განხილვა ძველ სასამართლო დაწესებულებებში და მთავრებულიყო, თუ ძველი სასამართლო დაწესებულებები გაუქმებინათ და საქმეების განხილვა ახალ სასამართლო დაწესებულებებში დაწესებულიყო. კავკასიის სამეფინაცვლოს ფინანსები ვერ აუკმობდა ძველი და ახალი სასამართლო დაწესებულებების ერთდროულად შენახვას. გარდა ამისა, დაუშვებელი იყო მსგავს საქმეებზე სხვადასხვა განაჩენი გამოეტანათ ძველ და ახალ სასამართლოებში. ამიტომ გადაწყდა: ახალი სასამართლოების ამოქმედების-თანავე უფლებამოსილება შესწავლეთ ძველ სასამართლოებს. უნდა დახურულიყო **თბილისის კომერციული სასამართლოც** და კომერციულ საქმეებზე განაჩენის გამოტანა მანამ უნდა შეჩერებულიყო, სანამ რუსეთის იმპერიაში კომერციულ სასამართლოთა ბედი არ გაირკვეოდა. ძველ სასამართლო დაწესებულებებში განხილვის პროცესში არსებული საქმეები ორ კატეგორიად გაიყო: საქმეები, რომელთა შესახებ გადაწყვეტილება პრაქტიკულად უკვე მიღებული იყო და საქმეები, რომლებსაც ჯერ კიდევ სასამართლო იხილავდა. პირველი კატეგორიის საქმეებზე განაჩენის გამოტანა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. კავკასიის მეფინაცვლის ბრძანებით, ამ საქმეებზე განაჩენის გამოტანა ძველი წესით არ უნდა მომხდარიყო: განაჩენი სამაზრო სასამართლოს ნაცვლად მომრიგებელ სასამართლოს უნდა გამოეტანა. გაცილებით რთული იყო მეორე კატეგორიის საქმეების განხილვის წესის დადგენა. გადაწყდა, რომ ეს საქმეები ახალ სასამართლო დაწესებულებებს სისხლისა და

სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსების საფუძველზე უნდა განეხილა: შედარებით მსუბუქ სისხლის სამართლის დანაშაულზე განაჩენი მომრიგებელ სასამართლოს უნდა გამოეტანა, ხოლო მძიმე სისხლის სამართლის საქმეებზე — საოლქო სასამართლოს.

ახალი სასამართლო დაწესებულებებისა და ახალი კოდექსების ამოქმედების ვადისა და სხვა საკითხების გადაწყვეტა კავკასიის მეფინაცვლის მთავარმმართველობას დაევა. ამიერკავკასიაში უმაღლეს სასამართლო ინსტანციას თბილისის სასამართლო პალატა წარმოადგენდა, მას ევალებოდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების კონტროლი. როგორც აღვნიშნეთ, თბილისის სასამართლო პალატა მესამე ინსტანციის სასამართლოსაც წარმოადგენდა. თბილისის სასამართლო პალატაში ორი დეპარტამენტი შეიქმნა: **სასამართლო და განმკარგულებელი დეპარტამენტები**.

1867 წლის 9 დეკემბრის კანონის მიხედვით, ამიერკავკასიაში დაწესდა: 1. **მომრიგებელი სასამართლოები** ყოველი სამომრიგებლო განყოფილებისათვის; 2. **საოლქო სასამართლოები** ყოველი გუბერნიისათვის; 3. **სასამართლო პალატა** მთელი ამიერკავკასიისათვის.

**სამომრიგებლო განყოფილებაში** შედიოდა მთელი მაზრა მაზრის ცენტრითა და მაზრის ტერიტორიაზე არსებული დაბებით. მომრიგებელი სასამართლო იხილავდა: ყველა სამოქალაქო საქმეს, რომლებიც ეხებოდა 2.000 მანეთამდე უძრავ-მოძრავ ქონებას, საქმეებს, რომლებიც ეხებოდა პირად შეურაცხყოფას და ისეთ წვრილმან სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში არ იხსენიებოდა. სამოქალაქო საქმეები მომრიგებელ სასამართლოშივე წყდებოდა, თუ მისი ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა და არ ეხებოდა უძრავ საკუთრებას (მაშულს). მომრიგებელ სასამართლოში ასევე წყდებოდა სისხლის სამართლის ის საქმეები, თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი 3 დღეზე მეტ პატიმრობას ან 100 მანეთზე მეტ ჯარიმას არ ითვალისწინებდა.

**საოლქო სასამართლოები** თბილისისა და ქუთაისში შეიქმნა. საოლქო სასამართლო იხილავდა ყველა იმ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეს, რომელთა განხილვის უფლება სამომრიგებლო სასამართლოს არ ჰქონდა. საოლქო სასამართლო კასაციის წესით იხილავდა მომრიგებელ სასამართლოში დასრულებულ საქმეებს. საოლქო სასამართლოდან დასრულებული საქმე კასაციის წესით შეიძლება გადა-

სულიყო თბილისის სასამართლო პალატაში.

**თბილისის სასამართლო პალატას** ექვემდებარებოდა თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლის, ბაქოს, ერევნისა და ელიზავეტოპოლის საოლქო სასამართლოები.

1866 წლის 14 აპრილის დებულებით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ისევე, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ამოქმედდა **ნოტარიატი**. 1868 წლის 19 თებერვალს კავკასიის მეფინაცვალ მიხაილ რომანოვის ბრძანებით, ამიერკავკასიის საგუბერნიო ქალაქებში ჩატარდა ახალი სასამართლო დაწესებულებების ამოქმედებასთან დაკავშირებული ცერემონიალი.

### აღმშობრივი და ცენტრალური მმართველობის რეფორმა

1. **ჭარ-ბელაქნის მმართველობის რეფორმა**. 1859 წელს, იმამ შამილის დამარცხების შემდეგ, რუსეთის მთავრობა შეუდგა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ისლამის აღმსარებელ ხალხებში ადმინისტრაციული მმართველობის მოწყობას. ეს საკამოდ რთული საქმე იყო. მოსახლეობა, სადაც ახალი მმართველობა უნდა შემოღებულიყო, სამ კატეგორიად დაყვეს: 1. ხალხები, რომლებიც უკვე დიდი ხნის წინ დაიპყრო რუსეთმა; 2. ხალხები, რომლებიც ფორმალურად კი იყვნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ რუსული ადმინისტრაციულ მმართველობას არ შეეგუებოდნენ; 3. ხალხები, რომლებიც მხოლოდ იმამ შამილის დამარცხების შემდეგ დაიმორჩილეს და რომლებიც, სავარაუდოდ, ადვილად ვერ შეეგუებოდნენ მმართველობის ახალ სისტემას. 1860 წლის 5 აპრილს კავკასიის მეფინაცვალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ „**დაღესტნის ოლქის მმართველობის შესახებ დებულება**“ დაამტკიცა. დაღესტნის ოლქში შედიოდა მთელი კასპისპირეთი ყუბის მაზრის (ყოფილი ყუბის სახანოს) გარდა, რომელიც ბაქოს გუბერნიას მიაკუთვნეს. დაღესტნის ოლქს მიაკუთვნეს აგრეთვე 1859 წელს დამორჩილებული რამდენიმე თემი, რომლებიც დროებით **ლეკეთის ხაზის** (ლეკეთის კორდონის ხაზის) დაქვემდებარებაში იყო. დაღესტნის ოლქი დაიყო 4 სამხედრო განყოფილებად: ჩრდილოეთი, შუა, ზემო და სამხრეთი. ეს 4 განყოფილება 6 ოკრუგად და 4 სახანოდ გაიყო. დაღესტნის ოლქის მმართველობას დაუქვემდებარეს **ჭარ-ბელაქნის ოკრუგი**, რომელიც მანამდე ლეკეთის ხაზის უფროსის ექვემდებარებოდა. 1860 წელს ჭარ-ბელაქნის ოკრუგს სახელი შეუცვალეს და **ზაქათალის ოკრუგი** უწოდეს.

ჭარ-ბელაქანი რუსეთის იმპერიამ ირანს გულისტანისა (1813 წ.) და თურქმანჩაის (1828 წ.) ხავებით დაათმობინა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული მიზეზების გამო 1830 წლამდე იქ რუსული მმართველობა არ დამყარებულა. 1830 წელს შეიქმნა **ჭარ-ბელაქნის ოლქი**, რომელიც 6 თემად გაიყო. ოლქში დამყარდა დროებითი მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ: ოკრუგის უფროსი (თავმჯდომარე), ოკრუგის უფროსის ორი მრჩეველი და ორ-ორი დეპუტატი თითოეული თემიდან.

თემების წარმოგზავნილ დეპუტატებს მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდათ. საოლქო მმართველობა, გარდა ადმინისტრაციული საქმეებისა, სასამართლო საქმეებსაც წყვეტდა. რუსეთის ხელისუფლების ნებართვით, ჭარ-ბელაქნის ოლქში მოქმედებდა **სახალხო სასამართლო**, თუმცა სისხლის სამართლის საქმეებზე მას განაჩენი ვერ გამოჰქონდა. ეს საქმეები ოლქის მმართველობას გადაეცემოდა, რომელსაც განაჩენი რუსული კანონმდებლობის მიხედვით გამოჰქონდა. მიუხედავად ამისა, სახალხო სასამართლოების შენარჩუნებას მუსლიმი მოსახლეობა, მათ შორის ქართველი მუსლიმებიც, მოწონებით შეხვდნენ, თუმცა სისხლის სამართლის საქმეების ოლქის მმართველობაში გადატანა მოსახლეობას აღიზიანებდა. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის მთავარსარდალ **ივან პასკევიჩის** (1827-1831) მიერ ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსად თავად **ბეკოვიჩ-ჩერკასკის** და კავკასიის მთავარსარდალ **გრიგორი როზენის** (1831-1837) მიერ ოლქის უფროსად გენერალ **იოსებ რუტის** დანიშნვამ ჭარ-ბელაქანში დადებითი შედეგები გამოიღო — დროებითი დათმობის პოლიტიკამ გაამართლა. 1840 წელს სენატორმა **პაველ განმა** ჭარ-ბელაქნის დროებითი მმართველობა დაიწუნა. მისი მოთხოვნით, ეს ოლქი **ბელაქნის მაზრად** გადაკეთდა. 1842 წელს სენატორმა განმა ჭარ-ბელაქანი შემოიარა და დარწმუნდა, რომ მის მიერ გატარებულმა ცვლილებამ არ გაამართლა. პაველ განმა იხტიბარი არ გაიტეხა და მისი რეკომენდაციით ბელაქნის მაზრა **ბელაქნის ოკრუგად** გადაკეთეს, რომლის სათავეში შტაბს-ოფიცერი იდგა. დაარსდა **სამხედრო სასამართლო**, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეები უნდა განეხილა. მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებს ოკრუგის მმართველობა იხილავდა. 1844 წელს კავკასიის მთავარსარდალ **ალექსანდრ ნეიდეარდტის** (1842-1844) შუამდგომლობის საფუძველზე ბელაქნის ოკრუგი საქართველო-იმერეთის გუბერნიიდან გამოყვეს და უშუალოდ დაუქვემდებარეს **ჭარ-ბელაქნის ოკრუგის** უფროსს, რომელსაც სამოქალაქო საქმეებში გუბერნატორის, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებში დივიზიის მეთაურის უფლებები მიანიჭეს. 1846 წელს კავკასიის მეფინაცვალმა **მიხაილ ვორონცოვმა** გადაწყვიტა: ყოველგვარი დანაშაული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლისა, დროებით ოკრუგის უფროსს განეხილა, მაგრამ არა რუსული კანონმდებლობის, არამედ შარიათისა და ადათის საფუძველზე. 1857 წელს კავკასიის მეფინაცვალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ ოკრუგში **სიტყვიერი (ზეპირი) სასამართლო** შემოიღო, სადაც საქმეები ისევე ადათისა და შარიათის საფუძველზე იხილებოდა.

1860 წლის 5 აპრილს დაღესტნის ოლქის მმართველობის შესახებ დებულების დამტკიცებასთან ერთად ჭარ-ბელაქნის ოკრუგი **ზაქათალის ოკრუგად** გარდაიქმნა. გადაწყვეტილი იყო ზაქათალის ოკრუგის თბილისის გუბერნიასთან შეერთება, ამიტომ იყო, რომ დებულებაში აღინიშნა: ზაქათალის ოკრუგი სამოქალაქო მმართველობის თვალსაზრისით დროებით ექვემდებ-

არებოდა ზემო დაღესტნის უფროსს, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით — დაღესტნის ოლქის ჯარების სარდალს.

2. **აფხაზეთის მმართველობის რეფორმა**. რუსეთის საიმპერატორო კარმა და კავკასიის სამეფინაცვლოს ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ 1866 წლის აფხაზეთში მომხდარი აჯანყების (ამ აჯანყების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი — ვ.გ.) ერთ-ერთი მიზეზი აფხაზეთის ადმინისტრაციული მართველობის მოუწესრიგებლობაც იყო. ეს სრულსიმართლეს წარმოადგენდა. 1864 წელს აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა. ამის შემდეგ რაიმე სერიოზული ცვლილება აფხაზეთის მმართველობაში არ მომხდარა. რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ დროებით მაინც არსებული მმართველობის დატოვება შესაძლებელი იყო. 1864 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დიმიტრი სვიატოპოლ-მირსკი წერდა, აფხაზეთი მთელს კავკასიაში ყველაზე მშვიდი მხარეაო, თუმცა, ეს სიმშვიდე, ცხადია, მოჩვენებითი იყო.

1864 წელს გაუქმებული აფხაზეთის სამთავროს მართვა-გამგეობა იქ განლაგებული ჯარების მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ **პაველ შატილოვს** ჩააბარეს. შატილოვი კარგად იცნობდა აფხაზეთში შექმნილ ვითარებას, მან მჭიდრო კავშირი დაამყარა აფხაზეთის თავადებთან, სხვა ცნობილ ადამიანებთან, რაც სიმშვიდის შენარჩუნების საფუძველი გახდა. გენერლის პოლიტიკა ხელისუფლებამ არ მოიწონა და იგი თანამდებობიდან გადააყენეს. 1866 წელს აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების მეთაურად და მხარის მმართველად პოლკოვნიკი **ვალერიან კონიარი** დაინიშნა. ჯერ კიდევ პაველ შატილოვის გადაყენებამდე აფხაზეთში გენერალ-მაიორ **ევგენი პონსეს** მეთაურობით სპეციალური კომისია გაიგზავნა, რომელსაც მიხეილ შერვაშიძის მამულები უნდა აღეწერა. სწორედ პონსეს კომისიის მუშაობამ გააღვივანა და აჯანყებისაკენ უბიძგა მოსახლეობას.

აფხაზეთში სიმშვიდის შენარჩუნებას ხელს უშლიდა შერვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შორის დაუსრულებელი კონფლიქტი. 1865 წელს, მიხეილ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, დაპირისპირებამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. აფხაზეთისათვის მისაღები ადმინისტრაციული ფორმის შერჩევას ართულებდა ისიც, რომ ერთდროულად უნდა გადაწყვეტილიყო აფხაზეთის, სამურზაყანოსა და წებულდის საკითხი. 1864 წელს, მიხეილ შერვაშიძის გადადგომის შემდეგ, მართალია, აფხაზეთში რუსული მმართველობა შემოიღეს, მაგრამ მაშინ არავის უფიქრია, თუ რამდენად შეეფერებოდა ახალი მმართველობა ადგილობრივ წესებსა და ტრადიციებს. სწორედ ამას ითვალისწინებდა კავკასიის მეფინაცვალი მიხაილ რომანოვი, როდესაც აფხაზეთის მმართველობის ფორმის განსაზღვრის მიზნით გენერალ-მაიორ **ივან ბართოლომეის** მეთაურობით სპეციალური კომისია შექმნა.

**მანტანო გურული**  
(„საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918“ გვ. 139-141)

# „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ ანუ სიტყვათა „კამპრობა“ მელოდიასთან



იდგა სცენაზე ლექსთა შეუდარებელი წამკითხველი, სიო ირხეოდა ნელი-ნელ. მერე ქარმა დაუბერა მომეტებით, დარბაზს გადასწვდა და ასე ქარში მიმორწყული სული ელაშენებოდა მსმენელის სულს და გონებას..

იდგა სცენაზე მურმან ჯინორია, თითქოს დულეში იწვევდა წინა ეპოქათა ბუმბერაზებს. ოღონდ სიცოცხლის დულეში.

დრამატულ ლიტერატურული კომპოზიცია. არტისტი მისტიური ხმით, მოძრაობით, და... დრომ ისე, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შორის ჩაირბინაო, ერთი ამოსუნთქვით თითქოს.

სევდის პოეტს, გრანელს დაეთმო პირველი სიტყვა. მერე ხიდან ხეზე გადაფრენილი ჩიტივით ტიცინანის, გალაკტიონის ბობოქარ სულს მოუხმო. შეხვნიან თავის სენიას, მურმანს,

ნიშნინიის ჩქარი მატარებლით იმოგზაურა. გაზაფხულიდან ზაფხულამდე, შემოდგომიდან ზამთრამდე. ბავშვობის დღეებიდან მოყოლებული, ფიქრიან დღეებში დადგა. წარსულმა აწმყოს კარი გაუღო, შეესიტყვა მყოობადს. და აი ასე „მიჰქრის წუთისოფელი“...

ამ გაქროლებიდან გადმოშვებული, ბარათაშვილის მერანი. პეგასი ბერძნული მითოლოგიიდან. „სულმა სივრცე ისურვა როცა“. თითქოს შორიდან მოჰკიოდა არტისტს მფრინავი რაშის ფრთათა ქარიშხალი, ჩაფიქრებული სული და გრძობათა დულილი გულში. სიტყვებს მიჰყვებოდა, ხან მაღლა აფრენილს, ხანაც დაბლა დაშვებულს. დახეტებოდა. სიტყვათა ემოციამი მოგზაურობდა და გარინდებულ დარბაზსაც მიჰქანებდა წამიანი წუთისოფლის შუქჩრდილიან ლაბირინთებში. დაიხ, წამი - წარსული, აწმყო, მყოობადი.

სიტყვათა მარგალიტები ხალხური პოეზიიდან და, მამულის იმედად ნათქვამი, ანდერძი ილიასგან, „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“... ანდა „სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი...“ შემოძახილი მუხრანისა, მორის ფოცხიშვილი და გრძობა, გულში ვერ

დამალული, „ლექსებს დავეწერ და ვიოცნებებ...“

არ იყო გათვალისწინებული შესიტყვება გურამ რჩეულიშვილთან. მოკრძალებით ითხვეს დარბაზიდან. ისევ საოცრება. „სამყაროს ორი ხმა, კაცის და მხეცის. ...დამალეთ, დამალეთ ეს ქვეყანა“... რჩეულიშვილის, და არა მხოლოდ მისი, განწირული სულის ძახილი. რადგან მხეცის ხმათა მძლავრობამ შეიწირა ამ დიდთა შორის ბევრი. ბევრსაც გაუშწარა სვე-ბედი.

„განწირული სულის კვეთება“ შეიწირა თქო, აპა ეს სიტყვაც, თავისი თილოსოფიურ-რელიგიური დატვირთვით.

მხელი თავი დააღწიო გრძობათა ფორიაქს, მარტივად ისაუბრო, ქრონოლოგიურად მიჰყვე სიუჟეტის განვითარებას, რადგან არტისტმა მოახერხა, სიტყვათა და მელოდიათა მოფერებით, მოვლენები, გულის და სულის ამოძახილი სხვადასხვა ფერით წარმოეჩინა

მაპატიოს კითხვათა ავტორებმა. მხოლოდ მურმან ჯინორიას სიტყვად ნათქვამს გავიმეორებ. სახარებისეული დასაწყისით „პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთი.“ თუ სიტყვას

ფიქრი არ ახლავს, ზეცამდე ვერ აღწევს. ყოველ სიტყვას აქვს თავისი მელოდია. თავად ლექსი გეუბნება თავის რიტმს და მელოდიას...

როცა ლექსს კვითხულობ, ვკეცავ იმ ადგილებს, რომელსაც ჩემი წარმოსახვა იმპულსურად გაიგებს. მინდა ემოციით მივიღე იქ, რასაც წარმოსახვა მეუბნება. ერთი ვარიანტი მაინც უნდა ვნახო ჩემი ფატაზიიდან, რასაც ეს სიტყვები გამოეფრადებს.

ზაურ ბოლქვაძის ლექსით დაასრულა წარმოსახვათა მოგზაურობა, ასე რომ აიყოლ-ჩაიყოლია დარბაზი. „ღმერთს რაღაცაში ვჭირდებით, არ გაგვაჩნდა ისე“

დაიხ, გაგვიჩინა და სიტყვათა ამ ფერადონებში, ზოგჯერ სრულად წაკითხული ლექსებით, ზოგჯერ კი ლექსთა ფრაზებით გააერთიანა მონოლოგიური ავტორმა და ერთ მილიანობად შეკრა სხვადასხვა სტილის, რითმის, მელოდიის, ხმათა სიმძლავრის და სიმაღლის შემოქმედნი, ავ-კარგიანი ცხოვრების თავისებური შემოძახილ-შემომღერებო.

მადლობა ლამაზი დღისთვის ღონისძიების მესვეურთ.

ნინო ნიკოლაიშვილი.

## „ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“

8 თებერვალს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში მორიგი პრემიერა გაიმართა. მოწვეულმა რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა „ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“ წარმოადგინა. მანამდე მან განახორციელა წარმატებული სპექტაკლები „ფიროსმანი“ და „წერილი ლიას“. ეს სპექტაკლები და საპრემიერო სპექტაკლი „ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“ წარმოადგენს თოჯინების და ცოცხალი პლანის სინთეზს.

„ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“ ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლია. მას ეკუთვნის სპექტაკლის ინსცენირება, სცენოგრაფია.

ელენე მაცხონაშვილი, რეჟისორი და სცენოგრაფი: „ - სპექტაკლი „ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“ დოკუმენტური მასალისა და თარიღების გათვალისწინებით, დოკუმენტური წერილის მიხედვით დაიდგა, წერილის, რომელიც ჩაპლინმა თავის ქალიშვილს მისწერა.

სპექტაკლი მხატვრული, საინტერესო და ექსპერიმენტული ფორმით არის წარმოდგენილი, გამოყენებულია ჩაპლინის მუსიკა, ბიოგრაფიული ფაქტები და კინოესთეტიკა. ამიტომაც სპექტაკლს შეეძენებით დატვირთვაც აქვს.

ალსანიშნავია უნიკალური, ნოვატორული პრინციპისა და ტექნოლოგიის თოჯინები და მსახიობების დიდი ოსტატობა. ხოლო ტექსტის სიმცირე და გამომსახველობითი ხერხი ასაკობრივ და ენობრივ ბარი-



ერს აქრობს და „ჩარლი ჩაპლინი - წერილი ჯერალდინას“ თანაბრად საინტერესო და გასაკვირ ხდება ყველა თაობისა და ეროვნების მაყურებლისთვის.

თოჯინების მხატვარია ვახო ქორიძე. რეჟისორის ასისტენტია გიორგი დოლიძე.

თოჯინებს აცოცხლებენ და სპექტაკლი მიყავთ მსახიობებს: გიორგი დოლიძე, გიორგი ჩავლეშვილი, თეა კეჭაყმაძე, მარიკა ასათიანი, ვახო ჩხარტიშვილი, ანი გოდერძიშვილი.

გიორგი დოლიძე: „ - ბედნიერები ვართ, რომ ელენეს ისევ მიეცა ჩვენს თეატრში მუშაობის საშუალება. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ გავართვით თავი და ავითვისეთ თოჯინების მართვის ტექნიკა.

მის სპექტაკლებში, რომლებიც ჩვენთან განხორციელდა, ძირითადი დრამატული ხაზია. ასეა ახლაც.

თადად ჩარლი ჩაპლინის წერილია ძალიან ემოციური, უდიდესი...

ძალიან საინტერესო შემოქმედებითი პროცესია ჩემთვის თოჯინის გაცოცხლება, მისთვის სულის ჩაბერვა. ეს არ გახლავთ თოჯინების ზღაპარი. აქ მთავარია ემოცია წერილის, ჩარლის გარდაცვალების, ჯერალდინას. ელენეს დამსახურებაა, რომ ჩვენ ვისწავლეთ უსულო სხეულების ამტყვევება.“

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასო ჩიგოგიძის თქმით ეს გახლავთ შემოქმედებითი კოლექტივის ბოლო საჩუქარი საზოგადოებისადმი რეაბილიტირებულ შენობაში შესვლამდე.

როგორც მოგვხსენებთ, თეატრის შენობის რეაბილიტაციის დასრულება გაზაფხულისათვის იგეგმება.

ლია პილაპე, თეატრის პრეს სამსახური

## თოჯინების თეატრის 25 წლის იუბილეს ვინ

ალიონი. წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი დაარსებიდან 25 წელი სრულდება. თუ რა დადგმებს ახორციელებს თეატრი საიუბილეოდ, ამის შესახებ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს ლაშა კუტალაძეს ვესაუბრეთ:

–28 იანვარს ოზურგეთის თოჯინების თეატრში შედგა პრემიერა მ.სუპონინის „ბუტას“ მიხედვით „გაბუტული ბაჭია“-ს ინსცენირება, რომლის რეჟისურა და სცენური ვერსია რეჟისორ ოთარ კუტალაძეს ეკუთვნის. მარტის შუა რიცხვებში კი მორიგი პრემიერა გაიმართება. ნ. ანთიძის „მუჭანახევარას“ დადგმას მოწვეული რეჟისორი რევაზ ბაინაშვილი განახორციელებს. ივლისის ბოლოს კიდევ ერთი პრემიერა გაიმართება. ამჯერად ს. ჭეიშვილის

„დაივივლე მამალო“ დადგმას რეჟისორი ოთარ კუტალაძე განახორციელებს. წლის ბოლოს კი ტრადიციულად ბავშვებისათვის შოუ პროგრამას მოვაშადავებ.

–რას გეგმათ უშუალოდ თოჯინების თეატრის დაფუძნებიდან იუბილესათვის..

–დაგეგმილია საიუბილეო საღამოს გამართვა, ასევე საიუბილეო ბუკლეტისა და ჟურნალის გამოშვება.

–როგორია სპექტაკლების ჩვენების გრაფიკი?

–2008 წლიდან მოყოლებული, ყოველ კვირა დღეს დღის 1 საათზე ვმართავთ უფასო წარმოდგენებს ჩვენი პატარა მაყურებლისათვის. ყოველ ახალ პრემიერას ვაჩვენებთ ასოციაცია „გურას“ ბენეფიციარებს და სოციალურად დაუცველ ბავშვებს, ასევე მუნიციპალიტეტის სკოლაში აღზრდის დაწესებულებებს.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბალი -7 0  
10 თებერვალი ორშაბათი

მზე -3+4  
11 თებერვალი სამშაბათი

თოვლი +2+5  
12 თებერვალი ოთხშაბათი

თოვლი +3+7  
13 თებერვალი ხუთშაბათი

ღრუბალი-1+6  
14 თებერვალი პარასკევი

ღრუბალი- +5+8  
15 თებერვალი შაბათი

ღრუბალი- +4+9  
16 თებერვალი კვირა